ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2449148

ნომერი: AR1378738

თარიღი : 16.02.2016

გაცემის თარიღი : 25.02.2016

გაცნობის თარიღი : 25.02.2016

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

გლდანი დ.დიღმის გზის მიმდებარე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიადი კვეზერელი პ/ნ 13001016761
- გურჯაანი ერეკლე II ქ. N 35

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1378738 (16.10.15წ.) განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გლდანი დიდი დიღმის გზის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ღია საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემას გაცნობებთ შემდეგს:

სამსახური გასცემს აღნიშნულ ნებართვას მხოლოდ იმ პირობით, თუ ორი თვის განმავლობაში თქვენს მიერ დამატებით იქნება წარმოდგენილი შესაბამისი თანხმობა სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“-დან, გენგეგმაზე მონიშნული ტერიტორიის ფართობის გამოყენებაზე, სადაც უნდა მოხდეს ღია საზაფხულო კაფის მოწყობა, ან უნდა მოხდეს ტერიტორიის იჯარის წესით აღება.

მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში.

თანახმად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით, გეძლევათ უფლება 2016 წლის 30 აპრილამდე (02 თვით) ქ. თბილისში, გლდანი დიდი დიღმის გზის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ღია საზაფხულო კაფის მოწყობისათვის წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.